ბრძანება:**ბ47. 4725080001**

თარიღი:**21/03/2025**

ბრძანება N18

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2025 წლის 28 მარტს, დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბერის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში, დუმბაძის ქ. N20-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 55.80 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართის (ს/კ N[redacted]) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -,,მეთამაშე“-სათვის (ს/ კ[redacted]) გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი